



# საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია

## გ ა ღ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №35/3

2022 წლის 11 აგვისტო

ქ. თბილისი

### დაბალანსების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის შესახებ განცხადების ფორმის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის „ელექტროენერჯის ბაზრის წესების დამტკიცების შესახებ“ 2020 წლის 11 აგვისტოს №46 დადგენილების პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით დამტკიცებული „ელექტროენერჯის საბალანსო და დამხმარე მომსახურებების ბაზრის წესების“ (დანართი N2) 25-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის საფუძველზე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელმა ეროვნულმა კომისიამ:

### გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს თანდართული „დაბალანსების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის შესახებ განცხადების“ ფორმა.
2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 28 იანვრის N2/6 გადაწყვეტილება „დაბალანსების მომსახურების მიმწოდებლის სარეგისტრაციო განაცხადის დამტკიცების შესახებ“.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2021 წლის 11 თებერვლის N4/3 გადაწყვეტილება „დაბალანსების მომსახურების მიმწოდებლის შესახებ ხელშეკრულების სტანდარტული ფორმის დამტკიცების შესახებ“.
4. დაევალოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის ადამიანური რესურსების მართვისა და საქმისწარმოების დეპარტამენტს დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების გადამცემი სისტემის ოპერატორისათვის გაგზავნა.
5. დაევალოს გადამცემი სისტემის ოპერატორს დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების და თანდართული „დაბალანსების მომსახურების მიმწოდებლად რეგისტრაციის შესახებ განცხადების“ ფორმის გამოქვეყნება მის ვებგვერდზე.
6. დაევალოს საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს

დაუყოვნებლივ უზრუნველყოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნება კომისიის ვებგვერდზე (www.gnerc.org).

7. გადაწყვეტილება ძალაშია კომისიის საჯარო სხდომაზე გამოცხადების დღიდან.
8. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64) მისი საჯაროდ გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

დავით ნარმანია

კომისიის თავმჯდომარე

მაია მელიქიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

